ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 ივლისის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 28 ივლისის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 17

დ. ხარაგაული 28 ივლისი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე - საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მრეწველები“ - ს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ ქართული ოცნება - მწვანეები“ - ს“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის“ - თავმჯდომარე,

მერიის წარმომადგენლები:

ირინა ჩხეიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

ნანა კიკნაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. გოგოლაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

მ.შარიქაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“

ჟურნალისტი,

გ. კურტანიძე - ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის

საკითხებში,

ვ. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2020** წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2018** წლის **5** თებერვლის **N5** დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ '' ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ.. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ**

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა - საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განვიხილეთ აღნიშნული საკითხი, ინფორმაცია კომისიამ მიიღო ცნობად, ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების ნაწილში ნაკლი არის ობიექტური მიზეზებით გამოწვეული, ვიმედოვნებ, რომ საფრთხე არ შეექმნება ხარჯებს მნიშვნელოვან ნაწილში, თანხების აუთვისებლობამ ინფრასტრუქტურაში დაანგრია ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მერიამ ჯეროვნად და დროულად ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობები, ნუ დავაბრალებთ ყველაფერს კორონა პანდემიას, ამ პერიოდში ყველაზე კარგად იმუშავა მერიის ჯანდაცვის სამსახურმა. გამოსავალი უნდა მოინახოს, ჩვენ საკრებულო მზად ვართ მივიღოთ გადაწყვეტილება, რაც ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პ. გოგოლაძემ _ პანდემიის პირობებში ჯანდაცვის სამსახურის საქმიანობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მერიაში სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები შვებულებებში იმყოფებიან, ახლა დასვენების დრო არ არის, ამას საბოტაჟის ელერი აქვს, საკრებულომ ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, ეს ხალხი დაბრუნდეს სამსახურში, ვისაც დაბრუნება არ უნდა წავიდეს სახლში. მან ასევე შეკითხვა დასვა სოფელ ანეულაში სარიტუალო სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ხალხი ითხოვს პასუხს, ჩინურმა კომპანიამ თანხა ჩარიცხა, მშენებლობა კი არ დაწყებულა

ვ. გელაშვილმა განმარტა, რომ ამ შენობის პროექტი არ არსებობს თანხა შენახულია2018 წლიდან და ალბათ მოხდება სეკვესტრში, რომელსაც სამინისტრო გვავალებს, თუმცა თუ პროექტი დაიდება და მშენებლობა დაიწყება წლის ბოლოსათვის დაფინანსებას გამოვნახავთ.

დ. კიკნაძემ - დღესვე შევხვდეთ მერის მოვალეობის შემსრულებელს,

ი. კელენჯერიძემ - ყველაფერი ფასდება შედეგებით, პროექტები შეუსრულებელია საქმე არ კეთდება, მე მრცხვენია, ძალიან სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ ამ საკითხზე,

ი. მაღრაძემ - კოლეგები ამბობენ, რომ უნდა ვიმსჯელოთ, ვისთან უნდა ვიმსჯელოთ, საკრებულო ვერ მოსთხოვს პასუხს, რადგან თვითონ არღვევს კანონს,

გ. თხელიძემ - არ დაეთანხმა ი. მაღრაძის პოზიციას და განმარტა, როდესაც მერის განთავისუფლებისთანავე სამსახურის ხელმძღვანელები შვებულებებს იფორმებენ ეს რა არის? პაატას ვეთანხმები საბოტაჟის ელფერი აქვს ამ საქციელს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა- საკითხი განვიხილეთ საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, წარმოდგენილ ცვლილებას ერთსულოვნად დაუჭირეთ მხარი, მივესალმებით სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციას

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ '' ცვლილების შეტანის თაობაზე**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 03 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 აგვისტოს

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ირინე ჩხეიძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: დავით დევდარიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შედეგების განხილვის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის N5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ '' ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე